ხუთშაბათი, 30 სეკდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 30 სეკდემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 225 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 225

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს „საზოგადოების" წევრთ, რომ დღეს, 30 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი „საზოგადოების" საპატიო წევრის

**სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1—1).

---

**„ივერიის" რედაქცია** ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 30 სეკდემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

**სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის**

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მის ხსოვნის პატივის-მცემელთ დაესწრონ ღვთის მსახურებას. (4—რ.—4).

---

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს «საზოგადოების» წევრთ, რომ დღეს, 30 სეკდებერს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილი იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი «საზოგადოების» საპატიო წევრის

**სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2—6—2).

---

დღეს, 30 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში დანიშნულია მესსა (წირვა) და პანაშვიდი საზოგადოების საპატიო წევრის

**სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, აგრეთვე განსვენებულის ნათესავებს, მეგობრებს და მისს სახსენებლის პატივის მცემელთ. (2—6—2).

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**ზორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

---

დოქტორი მედიცინისა

### გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—14).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

### ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

### უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

### ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 30 სეკდემბერს,

წარმოდგენილი იქნება

### რიგოლეტტო

ოპერა 5 მოქ., მუს. ვერდისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ანტონოვისა, ბუნაკოვისა, ზასლავსკისა, ფერარი და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, ობრაზცოვი, გალეცკი, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი, დემიდოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

დაუკრავს სამხედრო მუსიკა 1-ლ კავკასიის საპერების ბატალიონისა **რეზერის** გამგეობით.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 1 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

### გალკა

ოპერა 4 მოქმ. მუს. მონიუშკოსი.

შაბათს, 2 ოკდომბერს,

1-ლი «გალა» წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

### იოან ლეიდენსკი

მუსიკა მეიერბერისა.

კვირას, 3 ოკდომბერს,

წარმოდგენ. იქნება

### ლაკმე

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბასი.

2 ოკდომბერიდამ დაწყებული სახელმწიფო სამსახურში მსახურთ შეუძლიანთ მიიღონ ოპერის გამგისაგან ჩეკის სანისიო წიგნი, მათის ხაზინადრის მიერ ხელ-მოწერილი.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

### ზაალიშვილისა

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში. (2—2).

---

### ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

### პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია).

**მ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

### კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, 12½—1½ საათ.

**ბრ. ვ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ბრ. ვ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

---

## მთავრობის განკარგულებანი

### სასოფლო მაღაზიის ანუ ბეღლის პურის ფულად გადაქცევისა და დახარჯვის წესდება.

(დამტკიცდა უმაღლესად 7 ივნისს 1904 წ.).

(დასასრული *)

16) სოფელმა უნდა შეადგინოს ხოლმე განსაკუთრებული განაჩენები სასოფლო-სამეურნეო თანხის დახარჯვის შესახებ იმ საჭიროებებზე, რომელიც აღნიშნულია მე 11—13 მუხლებში. აგრეთვე უნდა შეადგინოს განაჩენი სასოფლო-სამეურნეო თანხით შეძენილ მიწის სხვაზე გადაცემის შესახებ (მუხლი მე-15). განაჩენში სწორედ უნდა იყოს აღნიშნული ის საგანი, რაზედაც სასოფლო-სამეურნეო თანხის ფული უნდა დაიხარჯოს, აგრეთვე რაოდენობა მოსალოდნელ ხარჯისა. მე-12 მუხლში აღნიშნულ საქმის განხორციელების დროს განაჩენში უნდა ჩაიწეროს ისიც, თუ რა მონაწილეობას იღებს თვითეული სოფელი საერთო ხარჯში. 17) სასოფლო-სამეურნეო თანხის შესახებ დადგენილ განაჩენს რომ ძალა ჰქონდეს, საჭიროა თანხმობა სოფლის იმ გლეხთა ორ მესამედისა, რომელთაც ყრილობაზე ხმა აქვთ. 18) მე-16 მუხლში ჩამოთვლილი განაჩენები უნდა შეამოწმოს ადგილობრივმა მომრიგებელმა შუაკაცმა. შემდეგ ეს განაჩენები თავის აზრთან ერთად უნდა წარუდგინოს დასამტკაცებლად გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს. 19) ამ წესების შსერულების დროს საზოგადო თვალყურის დევნა, აღძრულ საგნების გადაწყვეტა და ხელმძღვანელობა როგორც მომრიგებელ შუაკაცთა, ისე იმათ ხელ ქვეით მოხელეთა ეკუთვნის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს. 20) კერძოდ საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს მოვალეობას შეადგენს:

ა) საკრებულომ უნდა წარუდგინოს კავკასიის მთავარ-მართებელს თავისი აზრი სოფლის შუამდგომლობის გამო, როდესაც ეს შუამდგომლობა შეეხება სასოფლო-სამეურნეო თანხის გამო დადგენილ განაჩენის გაუქმებას ან შეჩერებას (მუხლი მე-3); ბ) საკრებულომ უნდა დაამტკიცოს განაჩენები: 1. სასოფლო-სამეურნეო თანხისათვის გადასახადის დაწესების შესახებ, თუ ეს გადასახადი მე-6 მუხლში აღნიშნულ რაოდენობას აღემატება; 2, სასოფლო-სამეურნეო თანხის მოხმარების შესახებ, და 3. იმ ქონების გადაცემის შესახებ, რომელიც ამ თანხით იქნა შეძენილი; გ) საკრებულომ უნდა გამოსცეს ინსტრუქციები სასოფლო-სამეურნეო თანხის შედგენისა, მიღებისა, შენახვისა და დახარჯვის შესახებ; დ) თვალყური უნდა

*) იხ. „ივერია", № 224.

ადევნოს იმ წესების შესრულებას, რომელიც ფულის ანგარიშს შეეხება; ე) უნდა დაამტკიცოს წლიური ანგარიში გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო თანხების შესახებ; ვ) უნდა გადასწყვიტოს, ყოველ წელიწადს რამდენი გადაიდოს სასოფლო-სამეურნეო თანხიდან საანგარიშო წიგნებისა, ხორბლის ბეღლის ზედამხედველთა ბეჭდებისა, კლიტეებისა, სასწორებისა და სხვათა შესახებ; ზ) უნდა გააწეროს სოფლებს ის ფული, რომელიც სასოფლო-სამეურნეო თანხებიდან გადაიდება საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოებისათვის ამ თანხების შესახებ საქმეების საწარმოებლად. თ) უნდა განიხილოს სასოფლო-სამეურნეო თანხების შესახები ყველა სხვა საქმე, რომელსაც გუბერნატორი გადასცემს საკრებულოს განსახილველად. 21) სასოფლო-სამეურნეო თანხების შესახებ საქმეები უნდა განიხილონ მომრიგებელმა შუაკაცებმა და გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულომ. 22) იმ ხარჯისათვის, რაც საჭიროა საგლეხო საქმეთა საკრებულოში სასოფლო-სამეურნეო თანხების საწარმოებლად, ყოველ წლივ უნდა გამოეკლოს სასოფლო-სამეურნეო თანხებს ასი თუმანი. ეს ფული განაწილებულ უნდა იქმნას სოფლებს შორის იმისდა მიხედვით, ვის რამდენი სასოფლო-სამეურნეო თანხა აქვს. 23) საზოგადო ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო თანხების საქმეთა წარმოებისა და ანგარიშების შესახებ უნდა გამოსცეს შინაგან საქმეთა მინისტრმა კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით.

---

ტფილისი, 30 სექტემბერი.

ერთი გარემოებაა, რომელიც ფრიად სტანჯავს ჩვენს ერს. ეს გახლავთ მამულის სიმცირე, მიწის სიცოტავე... ზოგიერთს მიწის სიცოტავე უფრო აფხიზლებს და სხვა, უფრო ხელ-საყრელ სარბიელზე გამოიყვანს, მაგრამ უმეტესობისათვის კი ეს გარემოება მეტად მაზარალებელია. მამულის სიმცირეს, სიცოტავეს თან მოსდევს ერის სიღარიბე, სნეულება, სიკვდილი, ბოროტ-მოქმედებანი და სხვა... მაგრამ ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც ჩვენვე შეგვიძლია ვეწინაამდეგოთ სხვათა დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში ჩვენს თავად-აზნაურობას შეუძლია სამშობლოს წინაშე თავი ისახელოს და კვლავ დაუმტკიცოს ერს, რომ საზოგადო სიკეთისთვის კვლავინდურად გული შესტკივა. თავად-აზნაურობას დიდძალი ადგილ-მამული აქვს დაგირავებული სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო და სახელმწიფო ბანკებში... არავისთვის დამალული არ არის, რომ თავად-აზნაურობას დიდძალი ნაწილი დაგირავებულის მამულისა ეყიდება ვალში; ის ადგილ-მამული, რომელიც სახელმწიფო ბანკს რჩება, კანონით სახელმწიფო საკუთრებად ითვლება. სახელმწიფოს აზრად აქვს ყოველთვის თვისი პირდაპირი ინტერესები და ამ ბანკზე დარჩენილს ადგილებს დაურიგებს ხალხს იმ ინტერესების მიხედვით: ჩემს საკუთრებას, კანონის ძალით, იმას მივცემ, ვინც მეპიტნავება... ქართველ თავად-აზნაურობას ადგილ-მამული აქვს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ჩვენს გლეხკაცობას მოელის დიდი განსაცდელი, დიდი სიღატაკე. ერი მაშინ არის ძლიერი, როდესაც მისი ყოველი ნაწილი გაღონიერებულია. უმეტესობა ჩვენის ერისა გლეხ-კაცობაა, რომელიც თვისის ოფლით და ჭაპანწყვეტით საზრდოს შოულობს. ჩვენმა თავად-აზნაურობამ უნდა იზრუნოს გლეხ-კაცთათვის, გლეხ-კაცთათვის გული უნდა შესტკივოდეს. რაჭას, საზოგადოდ იმერეთსა და ქართლ-კახეთში დიდი მიწის სივიწროვეა. ტფილისის გუბერნიაში კი დიდ-ძალი ადგილ-მამული აქვს თავად-აზნაურობას,—განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში, სადაც ძველად ქართველთ ელემენტი ძლიერი იყო. ფრიად საჭიროა ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიექცეს. თავად-აზნაურობას აქვს თვისი საკუთარი დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ცნობანი შეჰკრიბოს გლეხ-კაცთა მიწის სიცოტავის შესახებ და იზრუნოს, რომ თვისი მამული მათ მიჰყიდოს. ისეთი დრო დადგა, რომ ჩვენმა ერმა თავის თავისთვის თვითვე უნდა იზრუნოს, თავისი წყლული თვითვე უნდა გაჰკურნოს, თავისი სიბეჩავე თვითვე უნდა მოინელოს. მიეცით გლეხ-კაცობას მიწა საკმაოდ, გააღონიერეთ ნივთიერად, მოაშორეთ წყვდიადი უმეცრებისა და მაშინ ჰნახავთ,—თუ როგორ გაძლიერდეს თვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენი მწერლობა, ჩვენი ენა, მთელი ჩვენი ერი. ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლს, თავადს მელიქიშვილს, რომელიც დაჯილდოებულია დიდის ენერგიით, ადვილად შეუძლია, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან შეთანხმებით, შეადგინოს ნუსხა იმ გლეხთა, რომელთაც ადგილ-მამულის სიცოტავე სტანჯავს და უჩვენოს ადგილები, რომელთ შესყიდვა შესაძლო იქმნება მიწის პატრონთა ვალის ათის წლის განმავლობაში გარდახდით. დაწვრილებით ამ საქმის მოწყობის წეს-რიგი უნდა შემუშავდეს მცოდნეთაგან. თუ ამას არ ვეცადეთ, უმეტესობა საქართველოს მიწა-წყლისა მოკლე დროში უკვე სხვაფრივ განაწილდება. თუ ჩვენს ერს ეროვნობის დაცვა სურს, უნდა შეირჩინოს თვისი ადგილ-მამული და თვისი ენა. რასაც ახალი დრო შესძენს, იმ შენაძენთან ეს ორი საგანიც მისთვის აუცილებლად საჭირო იქმნება...

სამწუხაროდ, ქართველმა გვიან იცის გამოფხიზლება. ისტორიულ ჭირ-ვარამს შეუჩვევია მოთმინებისათვის და ამ მოთმინებაშია დღესაც დაუსრულებლივ...

---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

ყაზახების გაჭირება.—რუსის სამი ლაშქარი და მთავარ-სარდალი. — ლიაოიანის დაცლის ამბავი.—რუსის ესკადრები.

მუკდენიდგან იწერებიან, აქა გროვდებიან რუსისა და უცხოეთელების კორესპონდენტები, რომლებიც აქამომდე ხარბინსა და თელინში სცხოვრობდნენ. დიდი მოძრაობაა. ჯარი განუწყვეტლივ მოდის. მოწინავე რაზმები თითქმის ყოველ დღე ებრძვიან მტერს, ხოლო ბედი ხან ერთს მხარეს უღიმის, ხან მეორეს. ვაჭრებმა დიდძალი ბეწვეულობა მოზიდეს, რომელიც კარგს ფასად იყიდება. გაცხარებული ვაჭრობაა, ფასები მატულობს, მეტადრე სანოვაგისა და სურსათისა. რაც წინად კაპიკად იყიდებოდა, ეხლა მანეთად გახდა. მდიდრდებიან მხოლოდ ჩინელი ვაჭრები და აქ დაბინავებული ჩინელები (ბ. ვ.).

---

ვერხნეუდინის მეორე ყაზახთა პოლკის ხორუნჟი ლადიჟენსკი იწერება შორეულ-აღმოსავლეთიდგან: ივლისის უკანასკნელ ლიცხვებში ჩვენ არც ერთს ღამე ფეხსაცმელი არ გაგვიხდია და გვეძინა იარაღასხმული და ნაბად წახურული. ჩვენი ბარგი 30 ვერსის სიშორეზე გვქონდა დატოვებული. ძალიან გაგვიჭირდა, რადგან საჭმელიც კი არ მოგვეპოვებოდა. მე ისე გადავეჩვიე ჭამას, რომ სიმშილს აღარც კი ვგრძნობდი. ხანდისხან ვშოულობდით ქათამსა და ღორს, მაგრამ ესეთი ბედნიერი შემთხვევა ძალიან იშვიათი იყო. მომეტებულ ნაწილად ქერის ხმიადებით ვიკვებებოდით, ცერცვის ზეთში მოხრაკულით. ეს ზეთი მეტად მყრალია. პირველად ზიზღითა ვსჭამდით, მაგრამ შემდეგ მივეჩვიეთ. საბრალო ცხენებს სიმშილით ფერდი-ფერდს ეკვროდა. დამპალ ჩალას ვაჭმევდით, რომელსაც ქოხების სახურავს ვაცლიდით. შორი-ახლო კარგი ბალახი იყო, მაგრამ ცხენებს საძოვრად ვერ გავუშვებდით, რადგან მტერს მუდამ წუთს მოველოდით, სამ-სამ დღეობით ცხენები შეკაზმული გვეყენა. (პ. ვ.).

---

ვინ იქმნება რუსის ჯარის მთავარ-სარდლად მანჯურიას, ჯერ გადაწყვეტილი არ არისო, ამბობს «ბერლ. ტაგ». პეტერბურგელი კორესპონდენტი. ამბობენ, მანჯურიაში სამი ლაშქარი ეყოლება რუსებს, გენერალ-კუროპატკინის მთავარ-სარდლობით. პირველ ლაშქრის სარდლად ბარონ მეიენდორფი იქმნება, მეორესი-გენერალი გრიპენბერგი და მესამისა-გენერალი ლინევიჩი რამდენად მართალია ეს აზრი, ჯერ ნამდვილი არ ითქმის, ხოლო ყველა იმ აზრისაა, რომ მთავარ-სარდლობის თანამდებობაზე გენერალ-კუროპატკინს უპირატესობა აქვს (ბ. ი.).

---

ნ. გარინი, გაზეთ «ნოვოსტი დნიას» კორესპონდენტი, ლიაოიანის დაცლის გამო ამბობს:

ლიაოიანს რომ ვტოვებდი, ორის ღმერთის ძლიერება ვიხილე, რომელთაც ბრბო დაემორჩილა: შიშის ზარი და შოვნის წყურვილი. გარბიან გადარეულნი, როდესაც ყუმბარა იფეთქებს, და უკან ბრუნდებიან უპატრონო ქონების დასარბევად. თავადი ლვოვი ცხენით დაბრუნდა ლიაოიანში, რომ გადაერჩინა რამე, რაც კი მოხერხდებოდა, მაგრამ სულ გაძარცული და შემუსვრილი დაუხვდა. რამდენიმე ყუთი დარჩენილიყო, სამუშაო იარაღით სავსე. სალდათებს ხუთ-ხუთი მანათი შეაძლია, რომ თან წაეღო ლიაოიანიდგან. მაგრამ არც ერთი არ დათანხმდა. იმის თვალ-წინ ყუთები დაამტვრიეს და იარაღი გადაჰყარეს. მთვრალ და გაშმაგებულ ბრბოსთან ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

---

ვლადივოსტოკის ესკადრა 2 აგვისტოს აქედ ნავსადგურიდან აღარ გამოსულა. «ბოგატირის» შესახებ, რომელიც 2 მაისს კლდეს დაეჯახა და დაზიანდა, აღარა ისმის რა, თუმცა $4^1/_2$ თვე სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო მის შესაკეთებლად. «გრომობოი» და «როსსია, რომელნიც ფუზანის ბრძოლაში დაზიანდნენ, ეხლა შეკეთებული უნდა იყვნენ, მაგრამ ნავთსადგურს არ გასცილებიან. ეტყობა, ადმირალ სკრიდლოვმა თავის კრეისერების თარეშობა იაპონიის ზღვაზე სამჯობინაროდ არ დაინახა, ვიდრე მშვიდ-ოკეანს მეორე ესკადრა დანიშნულებისამებრ არ მივა. ესეთი გადაწყვეტილება ადმირალისა, რუს. ვედ. თანამშრომლის ვ. კ.-ს აზრით, სწორეთ რომ საბუთიანია. კრეისერების მოქმედება იაპონიის ზღვაზედ, სადაც იაპონელები ბატონობენ, საშიშია, რაც ფუზანის ბრძოლამ თვალ-საჩინოდ დაამტკიცა. «რიურიკის» დაღუპვას, რომელიც რვა მილიონ მანათზე მეტი ღირდა, და 720 მეზღვაურის დაკარგვას არ უდრის შედარებით მცირე ზარალი, რომელიც კაპ. რეინცენშტეინმა და ადმირალ იესსენმა და მეზობრაზოვმა იაპონელებს მიაყენეს ნახევარის წლის განმავლობაში. იმათი სამი სატრანსპორტო გემი სულ ორ მილიონ მანათზე მეტად არა ღირდა და ზედ მხოლოდ რამდენიმე ასი ჯარის კაცი და მუშა ყული იყო.

ვლადივოსტოკის სამი კრეისერი მაშინ უფრო გამოსადეგი იქნება, როდესაც ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთში ზღვაზედ გაჩნდება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ესკადრაში მხოლოდ ერთი დიდი კრეისერია («ოლეგი»), რომელიც მზვერავად გამოდგება უმზვერაოდ კი გაშლილ ზღვაზედ ვერ მიაგნებ მტერს ამიტომ ვლადივოსტოკის კრეისერები ადმირალ როჟდენტვენსკისთვის დიდად საჭიროა.

---

პეტერბურგიდგან ბელგიის გაზეთებს ატყობინებენ, მთავარ-შტაბის ცნობებით, ბალტიის ესკადრა 6 ოკდომბერს უნდა წავიდეს შორეულ-აღმოსავლეთისაკენო. რადგან გზაში ქვა-ნახშირის და სურსათის შოვნა ადვილი მოსახერხებელი არ არის, საფიქრებელია, რომ ესკადრა 80 დღეზე ადრე ვერ მივა დანიშნულ ადგილს.

კორესპონტენდები იუწყებიან, ყველა სამხედრო გემები, რაც კი პორტ-არტურშია, უკვე შეაკეთეს და ეხლა ადმირალი ვირენი თავის ესკადრით გამოდის კიდეც ნავთსადგურიდგანო. (რ. ვ.).

---

«დელი ტელეგრაფს» ატყობინებენ, მუკდენში სურსათი და სანოვაგე მეტად გაძვირდაო: ქათამი 80 ამერიკულ ცენტად იყიდება (ცხრა აბაზად), რომელსაც სხვა დროს 3 ცენტადაც იხვეწებიან; შედედებული რძე (მაწონი!)—80 ცენტად, პატარ კოლოფი დამარილებულ ხორცისა-2- $4^1/_2$ დოლლარადაო (რ. ვ.).

---

# ტფილისი

*** შემდეგი სასიამოვნო ამბავი შეგვიძლიან ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: ამ თვის დამდეგს გამოსცადა მოსკოვში ხმა ჩვენის თანა მემამულის კ. თულაშვილისა მოსკოვის საიმპერატორო თეატრების გამგემ ნ. ფონ-ბოოლმა და ძალიანაც მოიწონა თურმე. ხმაც კარგი აქვს და სცენისათვისაც შესაფერი თვალ-ტანადობაო. მხოლოდ საჭიროა და ფრიად სასარგებლოა თვით არტისტისათვის, რომ ამ ზამთარს იტალიაში წავიდეს სავარჯიშოდაო. ეს სურვილი თვით ვ. თულაშვილსაც აქვს და კიდეც მიემგზავრება ამ დღეებში იტალიას. ფონ-ბოოლმა ურჩია ბ-ნს თულაშვილს, იქიდან დიდ-მარხვის მეექვსე კვირას დაბრუნდი და საგაზაფხულო სეზონისათვის საიმპერატორო სცენაზედ დემონის პარტია შეასრულეო.

აი რას ამბობს ამავე არტისტის შესახებ „ნიჟეგორ. ლისტ“-ის სამუსიკო რეცენზენტი:

„...ოპერაში მონაწილეობას იღებდა დებიუტანტი ბ-ნი თულაშვილი (თავადი ტომსკი). მშვენიერი ხმა აქვს, იშვიათის მოხდენილობისა, მბილი, სასიამოვნო. როცა საჭიროა, მძლავრის ხმით ამბობს სასიმღეროს სრულიად თავისუფლად, ძალდა დაუტანებლივ. საოცარი შნო აქვს თავისუფლად სიმღერისა. დიდ-კაცობაში გართულს ბურბუშელა კაცს კარგად თამაშობს. ერთი უბრალო სიმღერა სთქვა, მაგრამ ისე სთქვა, რომ საოცარი. მოხდენილი გამოვიდა. კიდევ მოემატა ნიჭიერი კაცი ჩვენს ოპერას“.

*** გაზ. «Рус. Пр.» სარწმუნო წყაროებიდგან გაუგია, რომ ახლო მომავალში უნდა შეუდგნენ ზენზურისა და მწერლობის შესახების კანონის გადასინჯვასაო.

*** ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 25 სექდემბერს ხოლერით ავად გამხდარა 6 კაცი, მომკვდარა—3. ერთის კვირის განმავლობაში, 14-დან 21 სექდემბრამდე, ავად გამხდარა—61. ეს ციფრები დღიურად ასე განაწილდება: 14 სექდემბერს ავად გახდა 14 კაცი, 15-ს—27, 16-ს—21, 17-ს—10, 18-ს—10, 19-ს—18 და 20-ს—11.

*** სად. სუფსიდგან იუწყებიან, რომ იქ 26 სექდემბერს, დილით, ვიღაცაც თოფით მოუკლავს ოზურგეთის მაზრის, ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრები იოსებ თავართქილაძე. მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** გაზ. „ყაზბეგი“ იუწყება, რომ კავკავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ა. პ. ობოლენსკი, რომელსაც საზიზღარი დანაშაული ჰბრალდება, ბრალმდებლის განკარგულებით, ტფილისიდგან კავკავს წაიყვანეს და დაამწყვდიეს კავკავის საოლქო საპატიმროშიო.

*** «ნოვ. ობზ.»-ს განჯიდგან ატყობინებენ, რომ იქ პოლიციის 1-ლ ნაწილის ბოქაულ მურავსკის შეუპყრია 26 სექდემბერს, ღამით, ციმბირიდან რამდენჯერმე გამოქცეული და ქურდ-ბაცაცების ბრბოს მეთაური, რომელსაც განუცხადებია კურეშიძე ვარო. ციმბირში გადასახლება იმიტომ გადაუწყვეტიათ, რომ ჯარის კაცად როცა ყოფილა, პოლკიდგან გაქცეულა. როგორც აღმოჩნდა, კურეშიძეს, სხვათა შორის, ტფილისის ერთ მესაათის მაღაზიიდგან მოუპარავს 12,000 მან. ნივთები. გაიგეს, რომ კურეშიძეს განჯაში ჩაჰყოლია „სანადირო“ თავისი ბრბო, რომლის დასაჭერადაც მიღებულია ღონისძიებანი.

*** იმის გამო, რომ გენერალ-ადიუტანტმა ა. ნ. კუროპატკინმა ბრძანება გასცა, სატევ მოქმედებას ვიწყებო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ტფილისის ყველა საშუ-

---

# ფელეტონი

## მაშ, სამართალი სად არის?

(სურათი სოფლის ცხოვრებისა).

— იროტე, იროტე, რაც შეიძლო და ნუ დაიმოკლებ მაგ ენას; როგორც გატყობ, შენ წერას აუტანიხარ, და ვიცი, კარგიც არა დაგემართება რა. რით ვერ გაიგე, შე უბედურის შვილო. რო ძალაც და სამართალიც მაგათ ხელშია, რო იძახი «პრისტავთან» უნდა წავიდეო, მერე რა იქნება? ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ძვალს არ გასტეხსო. ისევ შენს ბედს დაემორჩილე და ემანდ შენთვის ეგდე, თორემ აჰა!—თაგვმა თხარა თხარაო და კატა გამოთხარაო.

— რას ამბობ ეი, ბებერო!—შეჰყვირა გულმოსულმა ნიკო ფხაჭიაშვილმა და სიბრაზისაგან ისე აუციცინათდა თვალები, რო გეგონებოდათ, ეს არის ეხლა მივარდება მოხუც სვიმონას და ჯავრს სულ იმაზე ამოიყრისო.—ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა. თუ სამართალი არ არის, მაშ რა იყო კნიაზ დათიკომ ისვრიმაანთ მიხას რო ხმლით თავი გაუჩეხა, ციმბირში არ უკრეს თავი?!. არა, შვილოსა, ეხლა ის დრო აღარ არის, მე ჩემს გალახვას იმას არ შევარჩენ. ან მე უნდა ვიყო, ან ის!.. ვოჰმე, განა თავი კიდევ უნდა მქონდეს ცოცხალი!—იძახდა გამწარებული ნიკო და ხელს გულში იცემდა. სირცხვილით როგორღა გამოვყო ხალხში თავი... ჩემთვის ჯერ ადამიანს ხელი არ დაუკარებია, მამაჩემსაც კი არ გაულახივარ ბიჭობაში და იმან როგორ უნდა გამლახოს, იმანა, იმ ყვიციანმა! ხელი რო შემებრუნებინა, იქვე ძაღლივით დავახრჩობდი... კიდევ ბევრს რასმეს ამბობდა ნიკო, მაგრამ ეზოში შეგროვილ ცნობის მოყვარე მეზობლების ყაყანისა გამო, აღარა ისმოდა რა.

მზე კარგა ხანია ჩასული იყო. ხალხი სიმინდის თოხნიდგან ბრუნდებოდა. პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილი მოდიოდა წყნარის ნაბაჯით, სალდათებივით მხრებზე თოხები გაეწყოთ და საამურად გაისმოდა მათი სიმღერა დაწყნარებულს ჰაერში.

ნიკო ფხაჭიაშვილის სახლი ზედ გზის პირად იდგა და ამიტომ ეზოში შეყრილ მეზობლების გროვა გამვლელ-გამომვლელთათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და უნებლიეთ იზიდავდა ხალხის ყურადღებას. ზოგი პატარას ხანს ჩერდებოდა და, რა გაიგებდა, რაშიაც იყო საქმე, ისევ თავის გზას ადგებოდა და დაღლილ-დაქანცული მიეშურებოდა სახლში დასასვენებლად და თან, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, წაიდუდუნებდა: „რა ძალიან გიკვირს, შვილოსა, მარტო შენ თავს ხომ არ არის ამისთანა ამბავი, ბევრს შენზედ უკეთესს უარესიც დამართებიაო“.

მომეტებულ ნაწილს და უფრო კი მოხუცებულებს ეს შემთხვევა ისეთ უბრალო და კანონიერ მოვლენად ეჩვენებოდა, როგორც არის, მაგალითად, მეხის თავზედ დაცემა, წყალში დახრჩობა და სხვა. ბატონის რისხვა და ღვთის რისხვა ერთაო.

მოხუცი სვიმონაც ამათ გუნდს ეკუთნოდა. ნიკოსთვის სიტყვა აღარ შეუბრუნებია; იქვე ჯირკვზე იჯდა გაჩუმებული, ჯოხით მიწასა სჩიჩქნიდა და ზედ რაღაც სახეებს აკეთებდა. ხანგამოშვებით შეხედავდა ხოლმე ნიკოს და ამ დროს იმის თვალებში ცხადათ ამოიკითხავდით: «ეჰ, მესმის, ჩემო ნიკო, შენი მწუხარება, ახალგაზდური თავმოყვარეობის შებღალვა, მაგრამ ვინ განუგეშებს: განა ეს ამბავი პირველი და უკანასკნელია ჩვენს უმადურს, ძაღლურს ცხოვრებაში! აი, მოვხუცდი, თმა და წვერი გამითეთრდა და, აბა, მითხარ როდის, ან ვინ გამოსარჩლებია. ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ კიდევ, სულ რაღაც ოცის წლის ბაღანა, თითქმის არცკი გიცხოვრია; დაიცა, ჩემსავით გათეთრდები, გაიცნობ ქვეყანას და მაშინ აღარ იტყვი, რომ ბატონყმობა გადავარდაო».

ნიკო მაინც არა სცხრებოდა. საფეთქელთან ახლო შუბლის კანი მათრახის წვერით შუაზე ჰქონდა გაპობილი და ამიტომ თავი წითელის ხელსახოცით ჰქონდა შეხვეული. ცალი ლოყა ასიებიყო და ზედ კიდევ ემჩნევოდა შემხმარი სისხლის ზოლები. ცალ ხელში მოქნილი იფნის სახრე ეჭირა, მეორე ხელი ცერით ქამარში ჰქონდა გაკეთებული; ერთი ადგილიდგან მეორეზე მოუსვენრად გადადიოდა, უშვერის სიტყვებით ილანძღებოდა და ისეთის რიხით ლაპარაკობდა და ემუქრებოდა თავად ბარძიმს, რომ იქ დამსწრე ხამი კაცი იფიქრებდა—ეს არის სწორედ დაღუპავს იმ საცოდავს და საციმბიროთ გახდისო.

— კაცო, რა იყო, მაინც არ მეტყვი, რა მოხდა?—ეკითხებოდა მინდვრიდან ახლად მოსული მუშა იქვე მდგომ ახალგაზრდას, რომელიც ნიკოზე ნაკლებ არა ცხარობდა და ეტყობოდა, რომ ნიკოს მხარეზე უნდა ყოფილიყო.

— რაღა რა მოხდა, ბიჭო, ნიკოს მოზვრები წყალზე მიუდიოდა, ბატონის ყა-

ალო სასწავლებელში, რომელნიც საერო განათლების სამინისტროს უწყებში იმყოფებიან, 27-სა და 28 სეკდემბერს გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რათა გამარჯვება მოენიჭოს რუსის იარაღს. პარაკლისის დასასრულ იგალობეს «მრავალ ჟამიერი». პარაკლისს დაესწრნენ მოწაფენი და მასწავლებელნი.

*** მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ექსარხოსი ალექსი პარასკევს, 1-ლ ოკდომბერს, სვეტი-ცხოვლობა დღეს, მწირველი იქმნება მცხეთის საკათედრო ტაძარში.

*** ორშაბათს, 29 სეკდემბერს, ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზედ, ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ პარიჟში გარდაიცვალა სახელგანთქმული ქველ-მოქმედი სტეფანე ზუბალაშვილი, რომელმაც ტფილისში სახალხო სახლის ასაშენებლად დიდ-ძალი ფული შესწირაო. საბჭომ საზოგადო ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა, განსვენებულის საფლავი გვირგვინით შეამკოს.

*** საერო განათლების მინისტრის ნებართვით, ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში მიმდინარე სამოსწავლო წლიდგან სწავლის ფასი გადიდებულ იქმნა 5 მანეთით წელიწადში, ე. ი. ეხლა 60 მან. მაგიერ 65 მანეთი გარდაჰხდება ყველა მოსწავლეს. სამოსწავლო წლის 1-ლ ნახევარში ფულის შეტანა ჩვეულებრივად მოჰხდება—30 მანეთი უნდა შეიტანონ, ხოლო მეორე ნახევარში კი—35 მან.

*** ქალაქის გამგეობამ არ დააკმაყოფილა პუშკინის სახელობის სკოლის გამგის ქ-ნ ჩიქოვანის თხოვნა ჯამაგირის მიცემის შესახებ, რადგანაც ქ-ნი ჩიქოვანი არ დაემორჩილა ქალაქის გამგეობის განკარგულებას და ამის გამო დათხოვნილ იქმა თანამდებობიდგან.

*** როგორც პალმის გაზეთი გადმოგვცემს 17 სეკდმბერს ჩხალტაში, სოხუმიდგან 70 ვერსის მანძილზედ, თავი მოუკლავს, მაქსიმოვის მემკვიდრეთა ხეტყის ქარხნის ერთ დარაჯთაგანს.

*** რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების კავკასიის განყოფილების საოლქო სამმართველო გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: «წითელ ჯვრის უმთავრეს გამგეობის განკარგულებით, კავკასიის განყოფილების საოლქო სამმართველოში მიიღება შემოწირულებანი იმ დაჭრილ და ავადმყოფ აფიცერთა სასარგებლოდ, რომელნიც ბრძოლის ველიდგან უნდა დაბრუნდნენ და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ შეწირულ სახლში, რომელიც მდებარეობს სოჭას მახლობლად, სოხუმის ოლქში, უნდა იქმნენ დაბინავებულნი მოსარჩენად».

*** ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, სამსახურის საქმეთა გამო, პეტერბურგს გაემგზავრა.

*** რედაქციას მოუვიდა ახალი ქართული წიგნი «ადამ და ჰევა (? ევა), ზნეობრივი სწავლა მამათა და დედათა», დაწერილი მესხის მღვ. გვარამაძისაგან: (116 ევერდი, ფასი 25 კაპ.).

# სიტყვა.

თქმული აკაკის მიერ ს. კ. ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

მის დღეში არ მინახავს, მაგრამ ხშირად თვალ-წინ მედგა. არავითარი დამოკიდებულობა არა მქონია, მაგრამ გულით მაინც მიყვარდა, როგორც ღირსეული ქართველი, რაიცა დღეს ჩვენში სანთლით საძებარია. აქ ბევრი მხურვალე სიტყვები წარმოითქვა მაგის ქველ-მოქმედებასა და დიდს შეწირულებაზე მე კი სულ სხვასა ვგრძნობ: ვაფასებ გულს და არა მარტო ფულს... სხვა ბედნიერ ქვეყნებში, სადაც ხალხი თავისუფალია, ქველ-მოქმედებაც უთვალავია და უსაზღვრო. ევროპა და ამერიკა რომ არ მოვიხსენიოთ, საკმაოა რუსეთიც, სადაც თვით გაუნათლებელი ვაჭრებიც მილიონებს სწირავენ საქველ-მოქმედოდ. ჩვენში კი, ამ საცოდავ საქართველოში, დიდებულთა ჩამომავალნი გვარიშვილები, წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულს და, გაურჩევლად წოდებისა, ქართველთა ძლებით გაპოხიერებულ საერისთავო მამულებს გულგრილად ჰხრავენ გარეშეებთან ერთად და აქედან მცირე წვლილსაც არ სდებენ საეროვნო ტრაპეზზე. აღარ აგონდებათ აღარც წარსული და აღარც მომავალი. და თუ აგონდებათ, ალბათ, ეთაკილებათ და ან ერიდებათ ვისიმე. და მით ისე ექცევიან სამშობლოს, როგორც ონავარი პეპელები მუშა-ფუტკრებს, უკანასკნელს საზრდოს რომ სტაცებენ და საფუთკრეთს ოხრებენ. ეს სენი ჩვენში დღეს საზოგადოა და ამისთანა დროს გამოსვლა ვისიმე საქველ-მოქმედო ასპარეზზე სამაგალითო გმირობაა! ამ გმირთაგანი იყო განსვენებული ს. კ. ზუბალაშვილი და სწორედ ამან მომიყვანა მეც შორეულ იმერეთიდან, როგორც ჩემის, ისე ჩემ თანამოაზრეთა მხრითაც, რომ გულდათუთქულმა მეც მის ჭირისუფლებთან ერთად თაყვანი ვსცე მის კუბო-სამარეს და ვუსურვო საუკუნო განსვენება. დაუვიწყარი იყოს მაგის სახელი ერთად ჩვენ სამშობლოსთან უკუნისამდე!

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მენშიკოვის წერილმა «ნოვ. ვრ.»-ში დიდი ალიაქოთი მოახდინა. მენშიკოვმა უსაყვედურა ლ. ლ. ტოლსტოის, გამოჩენილის მამის შვილს, ტყუილად გვარწმუნებთ, ტყუილად გვათათბირებთ, ვითომ რუსეთი უძლეველი იყოს, ვითომ რუსეთი დაიპყრობს ბატონობას მომავალში მთელს ქვეყნიერებაზედაო. პირ-იქით, რუსეთის დაძლევა შეიძლება. ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენის დიდის გაჭიმულის მიწა-წყალისა, მაგრამ ეგ გაჭიმულება ნაპოლეონის დროს გვშველოდა, ახლა ველარ გვიშველის, პირ-იქით, ვმტრობს; ჩვენი მტერია აგრედვე უმეცრება, გონებრივი უკან ჩამორჩენა, სიღარიბე, ხშირი სიკვდილი. ევროპაში რომ ასზედ 16 კვდება, ჩვენში 36 კვდებაო. ამისთანა ლაპარაკმა ბევრი დააღონა და დააფიქრა.

დაფიქრებულა ვინმე გლინკაცა, იმავე «ნ. ვრ.» თანამშრომელი და სწერს: ჩვენი მხედრობა ასეთს გმირობას იჩენს, მეტადრე პორტ-არტურში, ასეთის ვაჟკაცობით იბრძვის და ჩვენ ვინ მოგვერევაო. მაგრამ რა არის იმის მიზეზი, რომ პორტ-არტურში უძლეველნი ვართ და მანჯურიაში, აგერ რვა თვე გადის, ერთხელ ვერ გავიმარჯვეთ, უკუ ვიქცევით?

ამბობენ პორტ-არტურში მოუმზადებელნი ვიყავით, ხოლო მანჯურიაში არაო. რატომ, რატომ არ მოვემზადენითო.

იაპონიას უგულებელ-ყოფით ვეკიდებოდით, არაფრად ვაგდებდით, არ ვიცოდით არც იმის მხედრობის რაოდენობა, არც ადგაზმა-დარაზმულობა, არც ტაქტიკა და არც სხვა ღირსება მისის ჯარებისა... იაპონია აყინებით გვედავებოდა, გვეჩანარებოდა და ჩვენ ყურსაც არ ვიბერტყავდით და არც გვეგონა, რომ რასაც ეს მოდავე ქვეყანა თავისუფლობდა ნებით, იმას ძალითაც მოითხოვდა და თოფ-ქვეშა ჰყავდა უკვე სულ ცოტა 300,000 ხიშტებიანი კაცი და უშველებელი ფლოტი, ჩვენს ფლოტზე ძლიერი. ციბირის რკინის გზის ამბავიც რიგიანად არ ვიცოდით. გვეგონა, ერთი-კი ატუდეს ომი და ხელად გავაქანებთ პოლკებსა და კორპუსებსაო, ზარბაზნებს, თოფ-იარაღს, ტყვია-წამალს, სურსათს, ტანთსაცმელს, წამლებს, ჭრილობის სახვევს და სხვ. აღმოჩნდა, რომ ყოველივე ესე ტყუილი იმედები იყო. კანცელარიის ცნობანი, ქაღალდზე დაწერილი მოსაზრებანი, ანგარიშები არაფერზედ არ იყო დაფუძნებული და რუსეთი ახლა აგებს საშინელს პასუხს სხვა და სხვა მოხელეთა შეცდომათათვის, იმ მოხელეთა, რომელნიც რუსეთის ინტერესებს დარაჯად უდგანან. ბიუროკრატიზმმა, მოხელეობამ მიაძინა რუსეთის დარაჯნი, მიგვაძინა ჩვენც ყველანი. მეტად გვიან გამოვფხიზლდით, გვიან მოვიფხანეთ თავი და ამოდენის ხნის უკუ-ქცევასა და ჩვენს უღონობას, უძლურებას, უმაქნისობას რომ ვხედავთ, ეჭვი გვებადება,—ვინ იცის, ვითომ მართლა-კი „უძლეველია“ რუსეთიო. ჩვენი უცხოელნი კეთილის-მყოფელნი უკვე გვირჩევენ, ზავი დასდვეთო. რუსეთს ეგ არ შეარცხვენს, რადგან რუსის ჯარის კაცმა დიდი ვაჟ-კაცობა გამოიჩინა და რუსეთის სახელი დაიცვა, ხოლო რაც მარცხი მოუვიდა ქვეყანას, სულ მოხელეს ბრალიაო. იმის ბრალია და, დაე, ის დამცირდეს, თუ ზავი რუსეთისათვის სასარგებლო პირობით არ იქმნება დადებულიო...

ავტორი ჰკიცხავს მოხელეობას, მის გულ-გრილად საქმის მოკიდებას. შინაცა და გარედაც იმისი ფორმალიზმი გვღუპავსო. მაგრამ ჩვენც ყველანი დამნაშავენი ვართო, ასკვნის ბოლოს მწერალი და ასე განაგრძნობს:

მოხელე გვღუპავს ომშიაცა და შინაცა... კარგი, მაგრამ ვინ არის ეს მოხელე? ის ხომ ჩვენივე სისხლი და ხორცია?! თუ გვინდა, კარგი მოხელენი გვყვანდეს, უნდა გამოვიფხიზლოთ, ბამბის ძველა გამოვიღოთ ყურებიდან, უფრო მომქმედნი და ფხიზელნი გავხდეთ, ვიცავდეთ კანონიერად ჩვენს უფლებას და ვიბრძოდეთ ძალმომრეობისა და თვით-ნებობის წინააღმდეგ... არ უნდა ვმბობდეთ, როცა უსამართლობას ვხედავთ, მე დარდი არა მაქვსო, არ უნდა ვხოხავდეთ და ვიხრიდეთ კისერს იმათ წინაშე, ვინც მძლავრობის ღირსია. მაშინ მოხელეც კარგი გვეყოლება, მოვალეობის ამსრულებელი.

# სასამართლო

ბოქაულის შეურაცხყოფა მსახიობის-მიერ.

25 სეკდემბერს ქ. ბათომში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა მსახიობის ვალ. გუნიას საქმე, რომელსაც ბოქაულ ფილიმონოვის შეურაცხყოფა ბრალდებოდა.

საქმის გარემოება შემდეგია: 24 იანვარს ამა წლისა ბათუმის «რკინის თეატრში» ტფილისის დრამატიული დასი თამაშობდა ალ. სუმბათაშვილის «ღალატს». პირველ მოქმედების შემდეგ ბოქაული ფილიმონოვი, რომელიც დანიშნული იყო იმ საღამოს თეატრში მორიგედ, შევიდა კულისებში და, რა დაინახა, რომ მსახიობი კოტე ყიფიანი პაპიროსს ეწეოდა, წინადადება მისცა პაპიროსი გადაეგდო. რადგანაც კ. ყიფიანმა არ შეასრულა ბოქაულის წინადადება და განაგრძობდა პაპიროსის წევას, ბოქაულმა უთხრა, იძულებული ვიქნები სცენიდგან გაგაყვანინოო. ამ დროს მივიდა ბოქაულ ფილიმონოვთან მსახიობი ვალ. გუნია და მკვახედ, ამაღლებულის ხმით, თითების ქნევით (მუქარით), როგორც საბრალმდებლო ოქმიდგანა სჩანს, უთხრა: «შენ არა გაქვს უფლება სცენაზე შემოხვიდე და არ გესმის, ვის აძლევ შენიშვნებსაო. გადი და გაეთრიე აქედანაო“. ეს სიტყვები დაამტკიცეს გამოძიების დროს მოწმეებმა: თვით ფილიმონოვმა (ბოქაული), ალექსი უსაჩევმა, ვას. სერიკოვმა და ვლად. კოტენკომ.

ვალ. გუნიას გამოძიების დროს თავი დამნაშავედ არ უცვნია და განუცხადებია, მე არავითარი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია ბატონ ფილიმონოვისათვის, პირიქით გავაფრთხილე იგი, რადგან მსახიობ კოტე ყიფიანის შეპყრობით ჩვენ იძულებულნი ვიქნებით წარმოდგენა შევსწყვიტოთ, ხოლო წარმოდგენის შეწყვეტა ხალხში მღელვარებას გამოიწვევს და შეიძლება არეულობაც მოხდეს მეთქი; ბოქაული ფილიმონოვი თითქმის დაკმაყოფილდა ჩემის სიტყვებით და თავი დაგვანება.

ოლქის სასამართლოს სესსიამ ბათომში ეს საქმე გაარჩია ამ თვის 25-ს. სასამართლოში გამოცხადდა ბრალდებული ვალ. გუნია, ბოქაული ფილიმონოვი და ერთი მოწმე ბოქაულის მხრით—ყაზახი უსაჩოვი; ხოლო ბ-ნ გუნიას მხრით მოწმები არც ერთი არ გამოცხადებულა. მიუხედავად ამისა, ბ-ნმა გუნიამ ითხოვა, რომ საქმე უმოწმებოდ გარჩეულიყო.

სასამრთლოს თავმჯდოიარეობდა ბ-ნი ბოგოროდსკი. გამოჰკითხეს ბ-ნ ბოქაულს და უსაჩოვს საქმის გარემოება, რომელთაც წინად ნათქვამი განიმეორეს.

ბ-ნ ვალ. გუნია თვითონ იცავდა თავისს თავს და თავის გასამართლებლად სთქვა: მართალია, ძრიელ ვიყავი აღელვებული ბოქაულის უგვან საქციელით და შეიძლება ხმა-მაღლაც მელაპარაკნა, მაგრამ ლანძღვით შეურაცხყოფა კი არ მიმიყენებია ბ-ნ ბოქაულისათვის; შეიძლება ძრიელაც ეწყინა ბ-ნ ფილიმონოვს ჩემგან ჭკუის სწავლება, მაგრამ ეგ ყოველ შემთხვევაში შეურაცხყოფა არ არის, რაშიაც ბოქაული მამტყუნებს და ბრალმდებელიც კვერს უკრავს; პირიქით, მე თავიდგან ავაცილე ამ საღამოს ბ-ნ ბოქაულს დიდი შეურაცხყოფა, რომელსაც, უეჭველია, მას მიაგებდა ხალხი, რაკი ჩვენს დამსახურებულს არტისტს კ. ყიფიანს იგი დაატუსაღებდა ღ ამის გამო წარმოდგენა გადაიდებოდა. ამიტომ სულაც არა ვსთვლი ჩემს თავს დამნაშავედ და გთხოვთ ამხადოთ ის ბრალდება, რომელიც მე შეურაცხმყოფსო.

სასამართლომ ცოტა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა თავისი რეზოლიუცია, რომლითაც ბ-ნ ვალერიან გუნიას დანაშაული ახადა და სრულებით გაამართლა.

სასამართლოში დამსწრე საზოგადოებას ძლიერ ესიამოვნა სასამართლოს ასეთი დადგენილება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 სეკდემბერი.

**პეტერბურგი.** 28 სეკდემბერს რეველიდან ცარსკოე სელოს მობრძანდენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული მემკვიდრე ცესარევიჩით და გენერალ-ადმირალით, რომელიც პეტერბურგს წავიდა.

**ვაშინგტონი.** რუზველტმა მიანდო სახელმწიფო დეპარტამენტს, სთხოვოს რუსეთს დაწვრილებითი ახსნა ამერიკის ფოსტის შესახებ, რომელიც «კალხასზე» იყო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). იაპონელნი, რომელნიც დალნიდან მოვიდენ, ამბობენ, ნიპონის რაზმმა იერიში მიიტანა 28 სეკდემბერს იტზანთან ახლო მდებარე მცირე პოზიციებზე. ამ დროს რაზმს მოუხდა გადასვლა წყლით სავსე თხრილზე, მაგრამ რუსის არტილერიამ იძულებულ იყო უკანვე წასულიყვნენ და გადაევლოთ თხრილები და სანგრები.—ამბობენ, ორი კორესპონდენტი, რომელიც პორტ-არტურში შევიდენ, უკანვე გამოაბრუნესო. იმათ ჰქონდათ საელჩოების მოწმობანი, მაგრამ სტესელმა ის მოწმობანი საკმაოდ ვერა სცნო.

**ტოკიო.** (რეიტერი). ირწმუნებიან, დიდძალი რუსის ჯარი გადვიდა მდინარე ხუნს და იაპონიის პოზიციებს თავს ესხმიანო. იაპონიის ჯარები დიდ ჯგუფად მიდიამ სამხრეთისაკენ; ამბობენ, დიდი-ბრძოლა იწყებაო.

29 სეკდემბერი

**ტოკიო.** (რეიტერი). გამოცხადდა, რომ დაიღუპა 1 ხარისხის საკანონერო ნავი «ხეიანი», რომელიც ღამე 5 სეკდემბერს დაეტაკა მტრედის ნავსაყუდელთან ნაღმსა და ჩაიძირა. დაიღუპა 300 კაცამდე. ორი უნტერ-აფიცერი და ორი მეზღვაური მისულან მახლობელ კუნძულამდე, სადაც ისინი მეგემეებმა იპოვეს. გადარჩენილებმა სთქვეს, საღამოთი 5 სეკდემბერს «ხეიანს» ავდარმა მოასწრო ზღვაზე, უნდოდა ნავსადგურში შებრუნება, მაგრამ დაეტაკა მცურავ ნაღმსა, რომელიც აფეთქდა. გემი ძირ-ძირ წავიდა, ნავები წყლით აივსო, ველარ გამოიყენეს და ამიტომ გემზე მყოფნი დაიღუპნენ დიდის ღელვის გამოო. იაპონიის ფლოტმა გულდადებით გაშინჯა უბედურების ადგილი, მაგრამ გემის მსახურნი ველარ დასძებნა. «ხეიანზე» 211 კაცი იყო ღ გზავნიდენ სადარაჯოდ.

**ბარცელონა.** სამი ანარქისტი დაიჭირეს, რომელნიც გამოტყდნენ, ჩვენ შევადგინეთ ალფონს მეფის წინააღმდეგ შეთქმულობი იმის მოსაკლავადაო.

**სტამბოლი.** (სპეციალური). ბერძნის ჯუფთები, რომელნიც ბოლგარებისას სდევნიან, კიდევ გამოჩნდნენ მონასტირის და სალონიკის ვილაიეტის რავდენსამე ალაგს. პატრიარქი იუწყება, ბოლგარები თავს დაესხნენ 22 სეკდემბერს ბერძნებს და ერთს სოფელში სამი კაცი მოჰკლეხო.

---

ნებთან რო გაუტარებია, რაღაზედაც დამფთხვალან და შიგ ყანაში კი შეცვივნულან ის გასავერნებლები. ბატონს ამ დროს ბალკონიდგან დაუნახავს და ზაქარასათვინ უპრძანებია—ის ხარები აბა აქ მორეკეო. ზაქარას რო ხარები გამოურეკია, ნიკოც თან დასდევნებია. გაბრაზებულს ბატონს არც უცხელებია, არც უციებია, აულია და ეს ბიჭი სულ მათრახით აუჭრელებია. ეხლა იძახის, პრისტავთან უნდა უჩივლოვო. უნდა უჩივლოს, მაშ, არ უნდა უჩივლოს?!

— უჩივლოს!.. რას გაიტანს, მერე რო უჩივლოს?—ჩაერია ამ ლაპარაკში ერთი შუახნის გლეხი.—ნუ ჩაატარებდა ი მოზვრებს ბატონის ყანისაკენ და არც ეგ საქმე დაემართებოდა.

— როგორა, ადამიანო, წყალზე წასასვლელი ეგ ერთად ერთი გზაა და მაშ საით უნდა ჩაეტარებინა ხარები ამ ჭირნახულით სავსე მინდვრებზე. სწორეთ ერთი ორად გადავიხდიდი და ასე უღმერთოთ კი არ გავალახვინებდი ბიჭს,—შეუბრუნა სიტყვა ნიკოს უფროსმა ძმამ სოლომა, რომელიც ნიკოზე ნაკლებ არა გრძნობდა თავს შეურახყოფილათ.

მის სახეზე ამავე დროს რაღაც უიმედობა და უილაჯობა იხატებოდა,—გრძნობდა, რომ ასე თავის გამართლებით თუ შეიძლებდა თავის თვის რაიმე ნუგეშის მიცემას, თორემ სხვა ღონე და ძალა არა მოეპოვებოდა-რა, რომ თავის პატიოსნება და შელახული თავმოყვარეობა კვლავ აღედგინა.

— ცხენს რომ ვერა დააკლეს-რა, უნაგირს დაუწყეს მტვრევაო, აბა მაგაზეა ნათქვამი; ენა გექავებათ, შვილოსა, და ეგ არი!—გესლიანად წამოიძახა ხნიერმა გლეხმა, რომელსაც პირში ჩამქრალი ჩიბუხი ეჩარა და ხელები უკანა ჰქონდა ზურგზე გაწყობილი. ამ გლეხს სოფელში მეტად ხუმარა და სიტყვა-მოსწრებულ კაცად იცნობდნენ და ამისა გამო მეტსახელად «მეცნიერს» ეძახდნენ.

ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა გულზე ნიკას, ცეცხლივით აენთო და ერთ რაიმე საშინელებასაც მოიქმედებდა, რომ იმ დროს თავისი დედა არ დაენახა მომავალი, რომელიც სოფლის მეორე უბანში იყო ბებიათ მიწვეული.

— წადი, ბიჭო, ე სისხლი მაინც ჩამოიბანე, რას გაჩერებულხარ? ეგრე ნუ დაენახვები დედაშენს, თორე გულს შემოეყრება. რაც იყო-იყო, ახლა რავქნათ, თუ ღმერთმა სამაგიერო გადაახდევინა, ხომ კარგი, თუ არა და...

— მაშინ მე ვიცი,—გააწყვეტინა სიტყვა ნიკომ სოლოსა და მუქარის ნიშნად თავი დაიქნია, აქეთ იქით ხალხს გადახედა, თითქოს უნდოდა გაეგო, თანაგრძნობას გამოიწვევდა ამ სიტყვებით თუ არა.

ნიკოს ამაყი ბუნება და გაზვიადებული თავმოყვარეობა ეგრე ადვილად ვერ შეურიგდებოდა ამ მოულოდნელს შეურცხყოფას, მით უფრო რომ ის დედის ნებიერიც იყო და გარდა ამისა ბუნებითაც სხვანაირად იყო დაჯილდოვებული. სახით მეტად ლამაზი იყო, მაღალის ტანისა, მხარბეჭიანი. მის გიშერსავით შავს მიბნედილს თვალებში იმოდენა ვნება იხატებოდა, რომ სოფლის გოგოებს მის ცქერით სულ ტანში ჟრჟოლება მოსდიოდათ. ბევრიც ნატრობდა მისის ცოლობას. მუშაობაში იყო სწრაფი და მარდი. თოხნაში, თუ მკაში, მას ვერავინ აჯობებდა. ახლა როცა მთვარიან ღამეში ის ძნის ურემზე უჯდა და ნაღვლით სავსე ურმულს შემოსძახებდა და მისი ზარივით წმინდა ხმა ჰაერში ტალღებსავით მიმოიბნეოდა, გარშემო არე მის სიმღერით დატყვევებული ისე გაინაბებოდა და მიყურდებოდა, თითქოს ეშხით, გრძნობით დამთვრალი ძილს მისცემიაო. კამეჩები ცოხნას აჩერებდნენ, წყნარის, თანაბარის ნაბიჯით იწყებდნენ სიარულს,—ნიკოს სიმღერით სტკბებოდნენ და ტვირთი უმსუბუქდებოდათ. მთვარე, გაასკეცებული შუქით, თითქოს ნიკოს ეჯიბრებაო, უფრო ნაზად და მეტის ელვარებით ისროდა თავის გავერცხლილს სხივებს. ნიავიც კი ჩერდებოდა, ჩურჩულს და ალერსს სწყვეტდა მცენარეებთან,—არ უნდოდა დაეშალა მათთვის სიამოვნება და თითონაც სულგანაბული, გატაცებით უგდებდა ყურს ნიკოს სიმღერას.

სალამოს ჟამიც გადავიდა. ღამე ნელნელა იპარებოდა და დღის სინათლის ადგილს იჭერდა. ბევრის ყაყანისა და ჩივილის შემდეგ, ხალხი ნელა-ნელა დაიშალა, ყველა წავიდ-წამოვიდა. ბევრი თანაუგრძნობდა ნიკოს და გულნაკლულად ხელს გულში იცემდა. ზოგს კიდევაც უხაროდა: „ახია მაგაზე, სიტკბოსთან პატარა სიმწარეც იგემოს“.

ღეო.

(დასასრული იქნება)

29 სეკდემბერი.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობანი შორეულ აღმოსავლეთიდგან 28 სეკდემბერს არ მოსულა.

დაინიშნენ: მის უდიდებულესობის კაბინეტის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი რიძევსკი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად, საპოლიციო საქმეთა გამგეთ და ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსის უფროსად; გენერალ-ლეიტენანტი რუზსკი—მანჯურიის მე-2 ლაშქრის საბარო-სამხედრო შტაბის უფროსად; გენერალ-მაიორი შვანკი—მანჯურიის მეორე ლაშქრის გენერალ-კვარტირმეისტრად.

**ტოკიო,** 28 სეკდემბერი. პრინცი ანტონ ჰოჰენცოლლერნი საღამოს გაემგზავრა მომქმედ ჯარში.

**პეტერბურგი.** მე-16 კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კახანოვი დაინიშნა მანჯურიის მეორე ლაშქრის არტილერიის ინსპექტორად.

**ჩიფუ,** 28 სეკდემბერი. (რეიტერი). პორტ-არტურიდან ნავებით მოსული რუსები იუწყებიან ახალ ამბებს 25 სეკდემბრამდე მომხდარ ომის შესახებ. ესენი გადმოგვცემენ, რომ 22 სეკდემბერს, ღამით იაპონელთ იერიში მიიტანეს ფანტაოს ფორტის ჩრდილო სიმაგრეზედ, რომლის მეციხოვნენიც მოუმზადებელნი იყვნენ, ვინც თავის შველა ვერ მოასწრეს, მოჰკლეს, შემდეგ იაპონელთა გამარჯვება შეაფერხეს ციხიდგან სროლის ატეხამ; პროჟექტორების სხივებით ნათლადა სჩანდა, თუ რა პოზიციები ეჭირა მტერს. იაპონელნი დიდს მზადებაში არიან. მოწინავე პოზიციებზედ მათ დიდძალი ზარბაზნები დადგეს, განსაკუთრებით აღმოსავლეთით, სადაც საომარ ბაზად დაგუშანია. პორტ-არტურში ცვლილება არაა. ჯარი წინანდებურად მხიარულადაა და სწამთ, რომ კუროპატკინი მალე მიეშველებათ. მეციხოვნენი ციხის დათმობაზედ არა ჰფიქრობენ. საკვები მასალა ბევრია, თუმცა ყველა კარგის ღირსებისა არაა. ქებში საკმაოა სასმელი წყალი. ჯარი ჯანმრთელადაა. აფიცრები ათაყვანებენ დაუღალავ სტესსელს.

მიკადომ იაპონელთა მიმართ გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ჯარს მოუწოდებს უფრო შეუდრეკელ სამსახურისათვის. აქაურ იაპონელთა აზრით, ეს პროკლამაცია მომასწავებელია იმისი, რომ შემოდგომის ბოლომდე, როგორც იყოს, აიღონ პორტ-არტური. იაპონელნი შიშობენ ზამთრის გარშემორტყმის, თუმცა პორტ-არტურის მეციხოვნენიც უკეთეს მდგომარეობაში არ იქმნებიან.

**შანჰაი.** (რეიტერი) იაპონელებმა აღიარეს, რომ დიდი ზარალი ნახეს პორტ-არტურთან 13 სეკდემბერს და იმედი აღარა აქვთ, ერთ თვეზე ადრე აიღონ ციხე. იაპონიის ჯარებს მანჯურიაში დიდძალი მაშველი ჯარი მოუვიდათ. იაპონელებს ის განზრახვა აქვთ, რომ მუკდენის ჩრდილოეთად ძალიან არ წაიწიონ. ეს ადგილი საჭიროა, რომ უზრუნველ ჰყონ ლიაოიანიდან იჯუს მიმავალი გზა, აგრეთვე რკინის გზაცა. იაპონელებს განზრახვა არა აქვთ თელინს დაესხან თავსა.—შემოდგომაზე ვლადივოსტოკის წინააღმდეგ პოსიეტის ყურედან დემონსტრაციებს მოახდენენ.—ორი დივიზია გენზანს გაიგზავნა. კორესპონდენტებს და სამხედრო აგენტებს უთხრეს შეუერთდნენ იმ დივიზიებს, რომლების დანიშნულება სახალინზე გალაშქრებაა. იაპონიის უმაღლეს საზოგადოებაში იმ აზრისანი არიან, რომ ლიაოიანთან გამარჯვების მიზეზი გენერალი ნოძუ იყოო. მარშალმა ოიამამ და უმთავრესმა შტაბმა კიდევაც გასცეს ბრძანება უკან დახევისა, მაგრამ ნოძუმ დიდი წინააღმდეგობა განაცხადა და სთხოვა ერთხელ და უკანასკნელად ეცადნათ თვისი ძალ ღონე. ამ რიგად იაპონელები ნოძუს მადლიერნი უნდა იყვნენ ყველაფერში. ფიქრობენ, ოიამა და თავისი შტაბი იაპონიას წავლენო· იმათ იმ აზრით გამოუძახებენ, რომ ჯარები საზამთროდ დაბანაკდებიან და ისინი საჭირო აღარ იქნებიან, მაშინ ნოძუს დანიშნავენ მთავარ სარდლად.—გენერალ ნასსი დანიშნულ იქნება მანჯურიის სამხედრო გუბერნატორად. იაპონიას გაიგზავნა ბევრი დაჭრილნი და ავადმყოფნი. ირწმუნებიან, მარტო კობეში იმათი რიცხვი 30 ათასამდეაო. ტაძრები და საავადმყოფოები სავსეა მაგრამ იაპონელებს მაინც დაბრკოლება არა აქვთ და ახალ ხალხს აგროვებენ ლაშქრისათვის.

**პეტერბურგი.** წყნარ ოკეანის 1 ესკადრის უფროსი ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი დანიშნეს ბალტიის ფლოტის უფროს ფლაგმანად; ვიცე ადმირალები—ვლადივოსტოკის ნავსადგურის უფროსი გაუპტი უმცროს ფლაგმანად ბალტიის ფლოტისა, გრევე-ვლადივოსტოკის პოსტის უფროსად და გესონი წყნარ ოკეანის 1 ესკადრის უფროსად.

**იალტა.** აქ მოვიდა „გრომობოის“ უფროსი ფლიგელ-ადიუტანტი დაბიჩი.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ჟიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

## ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი,** ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—$11^1/_2$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ. —7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი,** ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11^1/_2$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11^1/_2$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი,** ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7^1/_2$—$8^1/_2$ ს. გოლოვინის ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული, დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ჯ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0—6—15)

გამოვიდა ახალი

## კ ა ტ ა ლ ო გ ი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) აკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვის, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

# სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შ ე ს ა კ ე რ ა დ

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

## რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს.




რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნიეშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში. (60—55).